## ვანის მუნიციპალიტეტის გამგეობის საკონკურსო კომისიის სხდომის

## ოქმი №2

ქ. ვანი 16 მარტი 2015 წელი

საკონკურსო კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

ვარლამ შარაშენიძე - ვანის მუნიციპალიტეტის გამგებლის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე.
მამუკა ნამიჭეიშვილი- გამგეობის ინფრასტრუქტურის, ტრანსპორტის და კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი, წევრი.
გიორგი ნამიჭეიშვილი - საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, წევრი.
ბესარიონ ახვლედიანი - გამგეობის ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროსი, წევრი.
დავით გაბუნია - გამგეობის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი.
ვანდა გიორგაძე- საფინანსო–საბიუჯეტო სამსახურის სახელმწიფო შესყიდვებისა და მატერიალური უზრუნველყოფის განყოფილების უფროსი, აპარატის წევრი.
მარინა ღვინიანიძე - ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული განყოფილების უფროსის მოვალეობის შემსრულებელი, აპარატის წევრი-მდივანი.

*დღის წესრიგი:*

*ვანის მუნიციპალიტეტის მიერ კონკურსის მეშვეობით შესყიდვის ობიექტის: ვანის მუნიციპალიტეტის N1 საბავშვო ბაღის ეზოს კეთილმოწყობის* შესასრულებელ სამუშაოებზე საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენის მომსახურების მიზნით 03 მარტს გამოცხადებული კონკურსის უ/ნ 1512 შედეგების განხილვა.

მოისმინეს: საკონკურსო კომისიის წევრის მამუკა ნამიჭეიშვილის ინფორმაცია, რომ საკონკურსო განცხადებით განსაზღვრულ ვადაში (2015 წლის 13 მარტი 15:00სთ) საკონკურსო წინადადება არ წარმოუდგენია არც ერთ კონკურსანტს, შესაბამისად კონკურსი არ შედგა.

დაადგინეს:

1) ვანის მუნიციპალიტეტის მიერ კონკურსის საპროექტო–სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის სედგენის მომსახურების შესყიდვის მიზნით 3 მარტს გამოცხადებული კონკურსი უ/ნ 1512 გამოცხადდეს არ შემდგარად.

დაევალოს საკონკურსო აპარატს ,,კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვების პირობებისა და წესის დამტკიცების თაობაზე" სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 10 თებერვლის N3 ბრძანებით დამტკიცებული ,,კონკურსის მეშვეობით საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის პირობების და წესის მე–5 მუხლის შესაბამისად უზრუნველყოს საკონკურსო განცხადების გამოქვეყნების ოფიციალური მოთხოვნის და კონკურსის ჩატარების შესახებ განცხადების წარდგენა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, რომელიც გამოქვეყნდება სააგენტოს ოფიციალურ ვებ–გვერდზე.

კომისიის თავმჯდომარე: ვარლამ შარაშენიძე

კომისიის წევრები:

1. მამუკა ნამიჭეიშვილი
2. ბესარიონ ახვლედიანი
3. გიორგი ნამიჭეიშვილი
4. დავით გაბუნია

აპარატის წევრები:

1. ვანდა გიორგაძე
2. მარინა ღვინიანიძე